

ტექნოლოგიური ინიციატივებისა და საგადასახადო ინიციატივების
როლი მცირე სახელმწიფოების განვითარებაში:
სინგაპურის, ირლანდიისა და ესტონეთის მაგალითზე.

ავტორი: გეგი გვაზავა

სამაგისტრო ნაშრომი

ფაკულტეტი: მეცნიერება და ხელოვნება

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გეგი გვაზავა

25/06/2021

აბსტრაქტი

მცირე სახელმწიფოების განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს მათი საგადასახადო პოლიტიკა და ინოვაციური განვითარება. ამ ყველაფერში კი ქვეყნის გამარტივებული ფისკალური პოლიტიკა და მზარდი ინოვაციური ტექნოლოგიების ინდუსტრიები მოიაზრება. საკმაოდ დიდია პოლიტიკური ლიდერშიფის და მმართველი გუნდის როლი სახელმწიფოს გრძელვადიან წარმატებაში. ამის ნათელი მაგალითებია სინგაპური, ესტონეთი და ირლანდი, ვინაიდან მათ შეძლეს საკმაოდ მძლავრი ეკონომიკის შექმნა, მცირე ზომისა და მწირი ბუნებრივი რესურსების ფონზე. კვლევის მიზანია სწორედ ამ წარმატებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით წარმოაჩინოს ის მთავარი ნაბიჯები და ინიციატივები რაც საჭიროა წარმატების მისაღწევად. კვლევა ფოკუსირებულია კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ინიციატივებზე, რომელიც ეკონომიკური წარმატების საწინდარია.

ნაშრომი დაფუძნებულია შერეული კვლევების ტიპზე და გამოყენებულია, როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი ელემენტები, კვლევა საშუალებას იძლევა უფრო ნათლად წარმოჩინდეს მცირე სახელმწიფოთა წარმატების წინაპირობები. აგრეთვე ირკვევა, რომ სწორი და მიზანმიმართული საგადასახადო ინიციატივები პოზიტიურად აისახება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე. ასევე კვლევიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად საჭიროა ინფრასტრუქტურული მზაობა და განვითარება, რათა არ მოხდეს დამატებითი ბარიერების შექმნა ინდუსტრიების ზრდის პროცესში. სწორი რეფორმების გატარება და პოლიტიკური ლიდერშიფის როლი კი გადამწყვეტია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

კვლევის თანახმად ტექნოლოგიური ინოვაციები და საგადასახადო ინიციატივები ქვეყნის წინსვლის პირდაპირპროპორციულია, რაც განხილული ქვეყნების მაგალითზე საკმაოდ ნათლადაა წარმოჩენილი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინოვაცია, საგადასახადო ინიციატივები, ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფო ინიციატივები, სინგაპური, ირლანდია, ესტონეთი.

Abstract

The role of tax policies and innovation plays an enormous role in the development of rather small countries. The role is defined as the process of easing the tax burden on business and development of innovative technology industry. The role of political leadership is immense in the process of country's development. Singapore, Estonia and Ireland are clear examples of successful cases, as they have managed to establish themselves as strong economies, whilst being geographically small nations. The aim of the research is to define the key success factors and initiatives for above-mentioned countries and their strong economic development. In addition to that, research defines specific examples and cases of successful campaigns.

Research is based on “mixed method”, where both qualitative and quantitative elements are utilized. This type of approach gives us a clearer glimpse of successful campaigns of small nations in their development process.

Studies have shown that, smart tax incentives and innovation has positive impact on FDI flow. Also, it is very important to upgrade and maintain well-structured infrastructure, in order to avoid any additional barriers going forward.

Research concludes that technological innovation and tax incentives are directly proportional to country's development, which clearly can be seen on the examples of above-mentioned nations.

Key words: Innovation, Tax incentives, Economic Development, Government initiatives, Singapore, Estonia, Ireland.